საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ზურაბიშვილი ივანე ივანეს ძე



ი. ზურაბიშვილი

ზურაბიშვილი ივანე ივანეს ძე (26. I. 1872, ფოთი, – 14. VI. 1940, საფრანგეთი), საზოგადო მოღვაწე, ლიტერატორი, ჟურნალისტი. 1891 დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია, 1895 – მოსკოვის უნ-ტის იურიდ. ფაკ-ტი. იმავე წელს დაბრუნდა საქართველოში, დაქორწინდა ნ. ნიკოლაძის ასულ ნინოზე. 1896-იდან თბილისშია. მუშაობდა კერძო იურიდ. ფირმაში, 1908–19 იყო ამიერკავკ. რკინიგზის მთ. იურისკონსულტი. ეწეოდა პუბლიც. და მთარგმნელობით მოღვაწეობას, აქვეყნებდა ნოველებს, ესკიზებს, რუსულად თარგმნა დ. კლდიაშვილის, ვაჟა-ფშაველას მოთხრობები. იბეჭდებოდა გაზეთებში: „ივერია”, „ცნობის ფურცელი”; ჟურნალებში: „მოამბე”, „ერი”; რუს. პრესაში: „ნოვოე ობოზრენიე”, „ვოზროჟდენიე”. თარგმნიდა ა. ფრანსის, გი დე მოპასანის, ა. დოდეს, შ. ბოდლერის, ჰ. სენკევიჩისა და სხვ. ნაწარმოებებს. 1907 გაზ. „ამირანში” (№84–124) დაიბეჭდა მის მიერ თარგმნილი იაპონელი მწერლის კენძირო ტოკუტომის ვრცელი რომანი „ნამიკო”. ზ. მონაწილეობდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების”, ქართ. სათავადაზნაურო სკოლის დამხმარე კომიტეტისა და ქართ. დრამ. საზ-ბის მუშაობაში. XX ს. დასაწყისიდან ქართ. საზ-ბის ერთმა ჯგუფმა გადაწყვიტა, დაეფუძნებინა ეროვნ. მიმართულების მოძრაობა ი. ჭავჭავაძის მეთაურობით. საადგილმამულო ბანკში მოწვეულმა კრებამ მოძრაობის *პოლიტ.* ხელმძღვანელად ზ. აირჩია. 1905 რევოლუციისა და მომდევნო რეაქციის ხანაში მოძრაობა პარტიად ვერ ჩამოყალიბდა. მოგვიანებით, 1918 დაარსდა ეროვნ.-დემოკრ. პარტია, რ-ის წევრიც იყო ზ.

იმავე წელს იგი ედპ-ის ცკ-ის წევრად აირჩიეს, შემდეგ კი – საქართვ. სენატის წევრად. 1921 ზ. საკათოლიკოსო საბჭოს მრჩეველია. 1921 ზ. ცოლ-შვილთან ერთად ემიგრაციაში წავიდა, თავდაპირველად სტამბოლში, შემდეგ კი – პარიზში დასახლდა. ბეჭდავდა წერილებს ემიგრანტულ პრესაში ფსევდონიმებით: „ვინ-ზენ", „ზ-ლი", „ჟანზეტ", „დარბაისელი". 1936 გამოაქვეყნა წიგნი „საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობა"; 1962 კი პარიზში, დაბეჭდა მოგონებათა წიგნი „კარგ ქართველთა ხსოვნისათვის", რ-ის დასრულებაც ზ-მა ვერ მოასწრო. ნაშრომს მაღალი შეფასება მისცა გ. რობაქიძემ. ზ. დაკრძალულია ლევილის ქართველთა სასაფლაოზე (პარიზის მახლობლად).

თხზ.: კარგ ქართველთა ხსოვნისათვის, პარიზი, 1962; მოთხრობები, შემდგ. და შესავალი წერილის ავტორი ვ. წოწელია, თბ., 1965.

ლიტ.: შ ა რ ა ძ ე გ., უცხოეთის ცის ქვეშ, წგ. 1, თბ., 1991.

გ. შარაძე

ვ. წოწელია